ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-157

ქ. თბილისი 24 აგვისტო, 2018 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის **გიორგი მაჩაბლის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

მიმწოდებელი: შპს „რამე ", წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის **რამაზ ჯანგავაძის** სახით *(სანოტარო მომედების (რწმუნებულება/მინდობილობა) ინდივიდუალური ნომერი: 32094224977013, სანოტარო მოქმედების (რწმუნებულება/მინდობილობა) რეგისტრაციის ნომერი: 130086111);*
იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, გ. ტაბიძის ქ. №42/ ლორთქიფანიძის ქ. №2;
საიდენტიფიკაციო კოდი: 412684625;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა: GE64TB7131536020100001

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, **SPA180006521** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.
1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებილების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებილების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ტრენინგის მონაწილეებისათვის სამეგრელოს რეგიონის მასშტაბით საკვების მიწოდების მომსახურების შესყიდვა. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, დეტალური აღწერა და ერთეულის ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში. მომსახურების გაწევის ლოკაციები მოცემულია დანართი №2-ში (**CPV55521200 - საკვების მიწოდების მომსახურება**).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2. შესასყიდი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 9430,46 (ცხრა ათას ოთხას ოცდაათი ლარი და 46 თეთრი) ლარს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის (მათ შორის დღგ-ს) ჩათვლით;
3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი მომსახურების ერთეულის ფასი მითითებულია ხელშეკრულების დანართი №1-ში;
3.4 დაფინანსების წყარო: *სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი" (პროგრამული კოდი: 32 02 02 03).*

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.
4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

4.3 მისაწოდებელი კერძები და კვების პროდუქტები უნდა იყოს ვარგისი, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ შესაბამის სტანდარტებს;
4.4 შემოთავაზებული ნამცხვარი და სამარხვო ნამცხვარი ჯემით უნდა იყოს ქარხნული, ქარხნული შეფუთული წესით დამზადებული და დაფასოვებული მოთხოვნის შესაბამისად;
4.5 ერთჯერადი ყავის, ჩაისა და შაქრის ვარგისიანობის ვადა მიწოდების პერიოდში უნდა იყოს ვალიდური;
4.6 აქსესუარები უნდა იყოს დამზადებული ქარხნული წესით, ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალისგან, არ უნდა დეფორმირდეს საკვების მიღების დროს და ასევე ცხელ წყალთან ზემოქმედების შედეგად;
4.7 ქაღალდის გაუმჭვირვალე პაკეტი უნდა იყოს დამზადებული ქარხნული წესით, ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალისგან. პაკეტში სენდვიჩი, ნამცხვარი, სამარხვო ნამცხვარი ჯემით, ჩაი, ყავა, შაქარი და აქსესუარები უნდა განთავსდეს ერთმანეთისგან განცალკავებულად, სენდვიჩები შეფუთული უნდა იყოს შესაბამის შესაფუთ საკვებ ფირში. შიგთავსი არ უნდა დაზიანდეს ტრანსპორტირებისას. შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს დაზიანებული ლანჩბოქსი.
4.8 დაუშვებელია მომდევნო დღის ლანჩბოქსის მიწოდება წინა დღეს.

მუხლი 5. გასაწევი მომსახურების ვადა, ადგილი და პირობები

5.1 მომსახურების გაწევის ვადა: ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საკვები შესაბამის ლოკაციაზე მიწოდებულ უნდა იქნას მომსახურების გაწევის დღის არაუგვიანეს დილის 12:00 საათამდე.
5.2 მიმწოდებელს შემსყიდველის მიერ, მომსახურების გაწევის თარიღამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, წერილობითი დაკვეთის სახით ეცნობება მომსახურების გაწევის ვადები, მომსახურების გაწევის ადგილი, კონკრეტულ ლოკაციაზე მისატანი ლანჩბოქსების რაოდენობა და აღნიშნულ ლოკაციებზე შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის ვინაობა.
5.3 მომსახურების გაწევის ადგილი: სამეგრელოს რეგიონის მასშტაბით, შემსყიდველის მიერ შესაბამის დაკვეთაში მითითებული ლოკაციები (რაიონები და ზუსტი მისამართები), მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ლანჩბოქსის ტრანსპორტირება შესაბამისი ლოკაციის კონკრეტული სართულის ჩათვლით.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
6.2 მიმწოდებლი ვალდებულია საკვების მიწოდების ადგილზე წარმოადგინოს ლანჩბოქსის ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტი (სასაქონლო ზედნადები), რომელზეც, შესაბამის ლოკაციაზე შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირი მოაწერს ხელს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს. ხელმოწერილი დოკუმენტი (სასაქონლო ზედნადები) მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში.
6.3 კონკრეტულ ლოკაციაზე მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ლანჩბოქსის ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტის (სასაქონლო ზედნადები) ამობეჭდვის თარიღი უნდა ემთხვეოდეს დაკვეთის შესაბამისი მომსახურების გაწევის თარიღს.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია, ლანჩბოქსები და ასევე მათთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადები) ჩააბაროს მხოლოდ შემსყიდველის მიერ წერილობით დაკვეთაში განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს.
6.5 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;
6.6 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
6.7 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;
6.8 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის უფლება ენიჭება სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის"

შესყიდვების სპეციალისტს - **მაია კვარაცხელიას** ან/და ამავე პროექტის შესყიდვების კოორდინატორს **ივანე კვიტაიშვილს.**

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;
7.3 საავანსო გადახდა არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:
8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;
8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.
8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
8.3.2 ხარისხიანად და კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;
8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს და მგზავრს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;
8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.
8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია;
8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;
9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;
9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9-4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. „შემსყიდველის" წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებენ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ი, რომელიც ხელს აწერს შესაბამისი ლანჩბოქსის ტრანსპორტირების დამადასტურებელ დოკუმენტს (სასაქონლო ზედნადები).

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

16.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს;

16.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	შპს „რამე“
გიორგი მაჩაბელი	**რამაზ ჯანგავაძე**
დირექტორი	დირექტორის მინდობილი პირი

	ლანჩბოქსი უნდა მოიცავდეს შემდეგს:	ლანჩბოქსის რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	**სენდვიჩი - 2 (ორი)** ცალი, შემადგენლობა: სენდვიჩის პური (ე.წ. „ბატონის“ ტიპის), ზომა:12 სმ, შიგთავსი: ყველი - 25 გრამი, ლორი - 20 გრამი.	1079 (ათას სამოცდაცხრამეტი) ცალი	8,74	9430,46
2	**ნამცხვარი, *ქარხნული შეფუთვით*** - 2 (ორი) ცალი, თითო ნამცხვრის წონა: 60 გრამი.			
3	**სამარხვო ნამცხვარი ჯემით, *ქარხნული შეფუთვით*** – 4 (ოთხი) ცალი, თითო ნამცხვრის წონა: 20 გრამი.			
4	**ჩაი** - არომატების გარეშე, ერთჯერად პაკეტში, 1 ცალი			
5	**ყავა ხსნადი** - ერთჯერად პაკეტში, 1 ცალი			
6	**შაქარი** - 4 ერთჯერადი პაკეტი			
7	**სასმელი წყალი** - არაგაზირებული 0,5 ლ, **2 (ორი) ცალი** პლასტმასის ბოთლი.			
8	**შეფუთვა და აქსესუარები:** ქაღალდის გაუმჭვირვალე პაკეტებში მოთავსებული უნდა იყოს: ➢ 2 (ორი) ცალი სენდვიჩი, შეფუთული საკვები ფირით; ➢ 2 (ორი) ცალი ნამცხვარი, ქარხნული შეფუთვით; ➢ 4 (ოთხი) ცალი სამარხვო ნამცხვარი ჯემით, ქარხნული შეფუთვით; ➢ 1 (ერთი) ერთჯერადი პაკეტი ჩაი, 1 (ერთი) ერთჯერადი პაკეტი ყავა, 4 (ოთხი) ერთჯერადი პაკეტი შაქარი; ➢ პლასტმასი კოვზი - 1 (ერთი) ცალი, ერთჯერადი მუყაოს ჭიქა, სითბო გამძლე - 1 (ერთი) ცალი.			

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

გიორგი მაჩაბელი
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „რამე“

რამაზ ჯანგავაძე
დირექტორის მინდობილი პირი

დანართი N2

№	რაიონი	ჯამური რაოდენობა
1	აბაშა	1079 ცალი ლანჩბოქსი (საკვების მიწოდების კონკრეტული თარიღები, რაოდენობები და მისამართები ლოკაციების მიხედვით, მიმწოდებელს ეცნობება შემსყიდველის მიერ წინასწარ, წერილობითი დაკვეთის განხორციელების დროს).
2	ზუგდიდი	
3	მარტვილი	
4	მესტია	
5	სენაკი	
6	ფოთი	
7	ჩხოროწყუ	
8	წალენჯიხა	
9	ხობი	

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

გიორგი მაჩაბელი
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „რამე"

რამაზ ჯანგავაძე
დირექტორის მინდობილი პირი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ 2018 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

_____
დავით ფეფელაშვილი

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - მასწავლებელთა
და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის"
მენეჯერი

_____
ნატალია ედიშერაშვილი

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური
რესურსების სამსახურის უფროსი

_____
ია ძებისაური

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური
რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი

_____
ნიკო ზიგზიგაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს"
მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის
შესყიდვების სპეციალისტი

_____
მაია კვარაცხელია

ფასების მოკვლევის განმახორციელებელი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს"
მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის
შესყიდვების კოორდინატორი

_____
ივანე კვიტაიშვილი

ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი

_____
გიორგი მაჩაბელი